მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,

საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N10

ქ. მარტვილი 2022 წლის 22 ნოემბერი

სხდომის დაწყების დრო 14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.კახაბერ ჯგერენაია - კომისიის თავმჯდომარე

2.მინდია გაბისონია

3. ირაკლი დიხამინჯია

4. ჯამბულ ხუროძე

5. აკაკი ხუნწელია

6. გოჩა ჯიქია

7.ნათია ქაჯაია

8.გიორგი ჯიჯელავა

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის თაობაზე. (მომხსენებელი- კახაბერ ჯგერენაია კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა კახაბერ ჯგერენაიამ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ კახაბერ ჯგერენაიამ აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია ოპტიმალურად და

პასუხობს მარტვილის მუნიციპალიტეტის განვითარების ტენდენციებს და მოსახლეობის მოთხოვნებზეა ორიენტირებული, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი რამ:

1. სპეცტექნიკის მძღოლების სახელფასო ანაზღაურების გაზრდა 1000 ლარამდე;
2. გენდერული თანასწორობის კუთხით 5000 ლარის გათვალისწინება;
3. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩამონათვალის დეტალურად გაშიფვრა.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯგერენაიამ, აკაკი ხუნწელიამ, ირაკლი დიხამინჯია.

გადაწყვიტეს

სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ჯგერენაიამ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია, მის მიერ წარმოდგენილი შესწორებებით ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერს.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 8

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა – 0

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულია და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე /კ.ჯგერენაია/

22/11/2022